



სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

მათემატიკის მასწავლებელი

1) კოტემ შეიძინა ორ-ორი ცალი ჩვიდმეტლარიანი და თოთხმეტლარიანი პერანგები. ნათიამ კოტემზე 11 ლარით ნაკლები თანხა დახარჯა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენლარიანი პერანგები შეიძინა კოტემ?

1) თერთმეტლარიანი

2) ოცლარიანი და თერთმეტლარიანი

3) ჩვიდმეტლარიანი და თოთხმეტლარიანი



ბ) რამდენი ლარი გადაიხადა კოტემ?

1) 20 ლარი

2) 31 ლარი

3) 62 ლარი



გ) რამდენი ლარი გადაიხადა ნათიამ?

1) 20 ლარი

2) 51 ლარი

3) 62 ლარი

2) მასწავლებელმა დაფაზე ყველა შედგენილი ერთნიშნა რიცხვი დაწერა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენნიშნა რიცხვები დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?

1) ერთნიშნა

2) ორნიშნა

3) სამნიშნა



ბ) როგორი რიცხვები დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?

1) ლუწი

2) შედგენილი

3) მარტივი



გ) რას უდრის მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვების ჯამი?

1) 18-ს

2) 27-ს

3) 30-ს

3) ორი მილით ავზი 8 საათში ივსება. მილებიდან წყალი ერთნაირად მოდის.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) ორი მილით რამდენ საათში ივსება ავზი?

1) 4 საათში

2) 8 საათში

3) 16 საათში



ბ) ერთი მილით რამდენ საათში გაივსება ავზი?

1) 4 საათში

2) 8 საათში

3) 16 საათში



გ) ერთი მილით რამდენ საათში გაივსება ავზის ნახევარი?

1) 1 საათში

2) 2 საათში

3) 8 საათში

4) ოთხ კოლოფში ასანთის ღერები ჩააწყვეს. თითოეულ კოლოფში ერთზე მეტი და თან სხვადასხვა რაოდენობის ღერი აღმოჩნდა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენ კოლოფში გაანაწილეს ასანთის ღერები?

1) 4 კოლოფში

2) 5 კოლოფში

3) 6 კოლოფში



ბ) რამდენ ღერზე მეტი აღმოჩნდა თითოეულ კოლოფში?

1) ერთ ღერზე

2) ორ ღერზე

3) სამ ღერზე



გ) ყველაზე ცოტა რამდენი ღერი შეიძლება ყოფილიყო ოთხივე კოლოფში ერთად?

1) 4 ღერი

2) 10 ღერი

3) 14 ღერი

5) კურდღელი ყოველ სამ წუთში 60 მეტრს გარბის.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენ მეტრს გარბის კურდღელი ყოველ სამ წუთში?

1) 2 მეტრს

2) 20 მეტრს

3) 60 მეტრს



ბ) რამდენ მეტრს გაირბენს კურდღელი ხუთ წუთში?

1) 80 მეტრს

2) 100 მეტრს

3) 120 მეტრს



გ) რა დრო დასჭირდება კურდღელს 65 მეტრის გასარბენად?

1) 1 წუთი და 15 წამი

2) 1 წუთი და 45 წამი

3) 3 წუთი და 15 წამი

6) კატერი ტბაში მოძრაობისას 3 საათში 84 კილომეტრს გადის. კატერმა მდინარეში რომლის სიჩქარეა 12 კმ/სთ, დინების მიმართულებით 1 საათი იმოძრავა (გაითვალისწინეთ, რომ კატერის საკუთარი სიჩქარე ტბაში და მდინარეში ერთი და იგივეა).

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რას უდრის მდინარის სიჩქარე?

1) 12 კმ/სთ

2) 28 კმ/სთ

3) 40 კმ/სთ



ბ) რას უდრის კატერის საკუთარი სიჩქარე?

1) 12 კმ/სთ

2) 28 კმ/სთ

3) 40 კმ/სთ



გ) რა მანძილი გაიარა კატერმა მდინარეში მოძრაობისას?

1) 12 კმ

2) 16 კმ

3) 40 კმ

7) გელას მხოლოდ ორლარიანი მონეტა ჰქონდა, რომელიც 50-თეთრიან და 10-თეთრიან მონეტებად დაახურდავა. შემდეგ კი ყველა 50-თეთრიანი მონეტა, 5-თეთრიან მონეტებად დაახურდავა, რის შედეგადაც მას 30 მონეტა გაუხდა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ლარი ჰქონდა გელას?

1) 1 ლარი

2) 2 ლარი

3) 10 ლარი



ბ) რამდენთეთრიან მონეტებად დაახურდავა გელამ ორლარიანი მონეტა?

1) 50-თეთრიანებად

2) 10-თეთრიანებად

3) 50-თეთრიანებად და 10-თეთრიანებად



გ) რამდენ 5-თეთრიან მონეტას მიიღებდა გელა 1 ცალი 50-თეთრიანი მონეტის დახურდავებისას?

1) ათს

2) ოცს

3) ორმოცს



დ) რამდენი 10-თეთრიანი მონეტა მიიღო გელამ ფულის დახურდავებისას?

1) 5

2) 7

3) 10

8) ნათურა 5 დღის განმავლობაში დღეში 20 საათი ენთო. ცნობილია, რომ ანთებული ნათურის მიერ ერთ წუთში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურია 3 თეთრი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი დღის განმავლობაში ენთო ნათურა?

1) 20 დღის

2) 5 დღის

3) 3 დღის



ბ) რამდენი საათი ენთო ნათურა ყოველდღიურად?

1) 3 საათი

2) 20 საათი

3) 100 საათი



გ) რას უდრის ანთებული ნათურის მიერ ერთ საათში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური?

1) 3 ლარს

2) 60 თეთრს

3) 1 ლარს და 80 თეთრს



დ) რას უდრის ნათურის მიერ ამ 5 დღის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური?

1) 300 ლარს

2) 216 ლარს

3) 180 ლარს



9) მაქსიმუმ რამდენი სამნიშნა ლუწი რიცხვის ჩაწერაა შესაძლებელი ციფრებით: 0; 3; 5 და 6? (გაითვალისწინეთ, რომ სამნიშნა რიცხვის ჩაწერისას ციფრების გამეორება არ შეიძლება)

1) რვა

2) ათი

3) თორმეტი



10) ნინომ წიგნი იმ გვერდზე გადაშალა სადაც სანიშნი ედო. მან შეკრიბა გვერდების ნომრები, რომლებზეც წიგნი გადაიშალა და მიიღო 25. რას მიიღებდა ნინო, შეკრების მაგივრად გვერდების ნომრები ერთმანეთზე რომ გაემრავლებინა?

1) 156-ს

2) 600-ს

3) 650-ს